პრაქტიკის დოკუმენტი

შავ-თეთრი ნიშნების დაცვის ფარგლები

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – საქპატენტი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის შენიშვნა

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი მომზადებულია „საერთო კომუნიკაციის“ შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) მიერ შემუშავებული „სასაქონლო ნიშნების საერთო პრაქტიკა“, რომელიც მიზნად ისახავს სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრას შავ-თეთრი სასაქონლო ნიშნების დაცვის ფარგლების შესახებ.

პრაქტიკის დოკუმენტი მოერგო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სპეციფიკურ კრიტერიუმებს და მასში გათვალისწინებულია უწყების ხარისხის სტანდარტები სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით.

1. საფუძველი

წინამდებარე პრაქტიკის საგანია შავ-თეთრი და/ან ნაცრისფერი გრადაციის სასაქონლო ნიშნების შესახებ სხვადასხვა მიდგომის დაახლოვება პრიორიტეტთან, შედარებით საფუძვლებსა და ფაქტობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ეს პრაქტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომია წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტებისა და მოსარგებლეების სასარგებლოდ, გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობის და პროგნოირების შემდგომი ამაღლების მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტში არ მოიაზრება შემდეგი საკითხები:

- ფერებს შორის მსგავსება, მათ შორის, მსგავსია თუ არა შავ-თეთრ ან/და ნაცრისფერ გრადაციაში წარდგენილი სასაქონლო ნიშანი, იმავე ფერადი სასაქონლო ნიშნისა უარის თქმის შედარებით საფუძვლებთან მიმართებაში;
- **იდენტურობა,** როდესაც ადრინდელი სასაქონლო ნიშანი **ფერადია**, ხოლო გვიანდელი ნიშანი შავ-თეთრი ან ნაცრისფერი (იდენტურობის თვალსაზრისით, „პრაქტიკა“ ფოკუსირებულია მხოლოდ ადრინდელ შავ-თეთრ ნიშნებზე);
- გამოყენება შეძენილი განმასხვავებლობის მიზნებისთვის;
- ცალკე აღებული მხოლოდ ერთი ფერის ნიშნები;
- დარღვევებთან დაკავშირებული საკითხები.

2. პრაქტიკა

ქვემოთ მოცემულ ტექსტში შეჯამებულია პრაქტიკის დოკუმენტის საკვანძო გზავნილები და ძირითადი დებულებები.
„პრაქტიკა“ შედგება სამი ნაწილისგან:

პრიორიტეტი

მიზანი	*განისაზღვროს, არის თუ არა შავ-თეთრი ან/და ნაცრისფერი გრადაციის სასაქონლო ნიშანი, რომლისთვისაც მოითხოვება პრიორიტეტი, ფერში გამოსახული იმავე ნიშნის **<u>იდენტური</u>** ?*
პრაქტიკა	• შავ-თეთრი სასაქონლო ნიშანი, რომლისთვისაც მოითხოვება პრიორიტეტი, არ არის ფერში გამოსახული იმავე ნიშნის იდენტური, თუ ფერში სხვაობა უმნიშვნელოა*. • სასაქონლო ნიშანი ნაცრისფერ გრადაციაში, რომლისთვისაც მოითხოვება პრიორიტეტი, არ არის ფერში გამოსახული ან შავ-თეთრი ნიშნის იდენტური, თუ სხვაობა ფერებში ან კონტრასტი ტონალობას შორის უმნიშვნელოა*. * უმნიშვნელო სხვაობა ორ ნიშანს შორის წარმოადგენს სხვაობას, რომელსაც მომხმარებელი სათანადო დაკვირვების შედეგად აღიქვამს მხოლოდ ნიშნების გვერდიგვერდ შედარებისას.
დებულებები	პარიზის კონვენციის მუხლი 4(2)

შედარებითი საფუძვლები

მიზანი	*განისაზღვროს, არის თუ არა შავ-თეთრ ან/და ნაცრისფერ გრადაციაში მოცემული <u>ადრინდელი</u> სასაქონლო ნიშანი იმავე ფერადი ნიშნის <u>**იდენტური**</u>?*
პრაქტიკა	• ადრინდელი შავ-თეთრი სასაქონლო ნიშანი არ არის ფერში გამოსახული ნიშნის იდენტური, თუ ფერში სხვაობა უმნიშვნელოა*. • ადრინდელი სასაქონლო ნიშანი ნაცრისფერ გრადაციაში არ არის ფერში გამოსახული ან შავ-თეთრი ნიშნის იდენტური, თუ სხვაობა ფერებში ან კონ-ტრასტი ტონალობას შორის უმნიშვნელოა*. *უმნიშვნელო სხვაობა ორ ნიშანს შორის წარმოადგენს სხვაობას, რომელსაც მომხმარებელი სათანადო დაკვირვების შედეგად აღიქვამს მხოლოდ ნიშნების გვერდიგვერდ შედარებისას.
დებულებები	„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

ფაქტობრივი გამოყენება

მიზანი	*განისაზღვროს, არის თუ არა შავ-თეთრ/ნაცრისფერ გრადაციაში (ან პირიქით) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ფერადი ვერსია მისაღები ფაქტობრივი გამოყენების დადგენის მიზნით?*
პრაქტიკა	• მხოლოდ ფერის ცვლილება არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობას შემდეგი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში: ა) სიტყვიერი/გამოსახულებითი ელემენტები ერთმანეთს ემთხვევა და წარმო-ადგენს ძირითად განმასხვავებელ ელემენტს; ბ) დაცულია ტონალობის კონტრასტულობა; გ) ფერი ან ფერთა კომბინაცია თავისთავად არ ატარებს განმასხვავებელ ხასიათს; დ) ფერი არ არის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ნიშნის საერთო გან-მასხვავებლობაში. ფაქტობრივი გამოყენების დადგენის მიზნით, პრინციპები, რომლებიც გამო-იყენება შავ-თეთრი სასაქონლო ნიშნებისთვის, ასევე, გამოიყენება ნაცრისფერ გრადაციაში მოცემული სასაქონლო ნიშნებისთვის.
დებულებები	„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირ-ველი პუნქტი.

პრაქტიკა

განმასხვავებლობა – აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი ნიშნები

სარჩევი

1. შესავალი 1

2. პრაქტიკის ფარგლები 1

3. პრაქტიკა 2

3.1 იდენტურობის ცნება 2

3.1.1 რა არის „უმნიშვნელო სხვაობა“? 3

3.1.2 პრაქტიკული მაგალითები 3

3.2 პრიორიტეტი 5

3.3 უარის თქმის შედარებითი საფუძვლები 6

3.4 გამოყენება 7

3.5 ნაცრისფერი გრადაცია 7

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პრაქტიკის სახელმძღვანელოს ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისთვის, მოსარგებლეთა ასოციაციებისთვის, განმცხადებლებისთვის მათ შავ-თეთრ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით. დოკუმენტი იქნება ფართოდ გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომი. ის უზრუნველყოფს იმ პრინციპების მკაფიო და დეტალურ განმარტებას, რომელსაც დაეფუძნება საერთო პრაქტიკა.

2. პრაქტიკის ფარგლები

პრაქტიკის **ფარგლები** განისაზღვრება შემდეგნაირად:

*„წინამდებარე პრაქტიკა აერთიანებს პრაქტიკას **შავ-თეთრ ან/და ნაცრისფერ გრადაციაში წარდგენილ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით და***

*ა) განსაზღვრავს, ჩაითვლება თუ არა **იგივე ფერადი ნიშანი** იდენტურად :*

i. მოთხოვნილ პრიორიტეტთან დაკავშირებით;

ii. უარის თქმის შედარებით საფუძვლებთან დაკავშირებით.

*ბ) განსაზღვრავს ჩაითვლება თუ არა იგივე ფერადი ნიშნის **გამოყენება** შავ-თეთრში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენებად (აგრეთვე, სასაქონლო ნიშნების გათვალისწინებით, რომელიც რეგისტრირებულია ფერადად, მაგრამ გამოიყენება შავ-თეთრში)“.*

პრაქტიკა არ მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ჩაითვლება თუ არა შავ-თეთრი ნიშანი იდენტურად სასაქონლო ნიშანთან, რომელიც რეგისტრირებულია ფერადად, პრიორიტეტის მოთხოვნასთან და უარის თქმის შედარებით საფუძვლებთან დაკავშირებით (შებრუნებული კითხვა);
- მსგავსების შეფასება ფერებს შორის ;
- შავ-თეთრში რეგისტრირებული ნიშნები, რომელთაც შეიძინეს განმასხვავებლობა კონკრეტულ ფერში ფართო გამოყენების შედეგად;
- ცალკე აღებული მხოლოდ ერთი ფერის ნიშნები;
- დარღვევებთან დაკავშირებული საკითხები.

გამოიყოფა პრაქტიკის ოთხი სხვადასხვა მიზანი:

- პრაქტიკის დაახლოება იმასთან დაკავშირებით, ითვლება თუ არა შავ-თეთრში ან ნაცრისფერ გრადაციაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი ფერადი ნიშნის იდენტურად **პრიორიტეტთან** მიმართებაში;
- პრაქტიკის დაახლოება იმასთან დაკავშირებით, ითვლება თუ არა შავ-თეთრში ან ნაცრისფერ გრადაციაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი იგივე ფერადი ნიშნის იდენტურად **უარის თქმის შედარებით საფუძვლებთან** მიმართებაში;
- პრაქტიკის დაახლოება იმასთან დაკავშირებით, ითვლება თუ არა ფერადი ნიშნის გამოყენება შავ-თეთრში რეგისტრირებული იგივე სასაქონლო ნიშნის გამოყენებად.
- პრაქტიკის დაახლოება ითვლება თუ არა შავ-თეთრი ნიშნის გამოყენება ფერადად რეგისტრირებული იგივე სასაქონლო ნიშნის გამოყენებად.



3. პრაქტიკა

3.1 იდენტურობის ცნება

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებით, **ნიშანი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის <u>იდენტურია</u> მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ყოველგვარი ცვლილების ან დამატების გარეშე, იმეორებს სასაქონლო ნიშნის შემადგენელ ყველა ელემენტს, ან თუ მთლიანობაში ის შეიცავს იმდენად უმნიშვნელო სხვაობას, რომ შესაძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს საშუალო მომხმარებლისთვის.**

უპირატეს ნიშანთან (სენიორიტი) დაკავშირებით, ნიშნების იდენტურობის პირობა მკაცრად უნდა იყოს განმარტებული, აღნიშნული იდენტურობის შედეგების გამო.

კანონთან შესაბამისობისა და თანამიმდევრულობის მიზნით (და განსაკუთრებით, თუ მისი ინტერპრეტაცია სიმკაცრეს მოითხოვს), კონცეფცია, რომელიც სამართლებრივ ზომებთან მიმართებით სხვადასხვა დებულებებშია მოცემული, ივარაუდება, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობის მატარებელია მიუხედავად იმისა, თუ რომელ დებულებაშია მოცემული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

- იდენტურობის ცნება როგორც უარის თქმის შედარებით საფუძვლებთან, ასევე, პრიორიტეტებთან დაკავშირებით, უნდა განიმარტოს ერთნაირად.
- ნიშნებს შორის იდენტურობის კრიტერიუმი უნდა განიმარტოს მკაცრად: ორივე შემთხვევაში, ერთი მხრივ, როცა ორი ნიშანი ერთნაირია ყველა თვალსაზრისით ან როცა შეიცავს იმდენად უმნიშვნელო სხვაობას, რომ საშუალო მომხმარებლის მიერ შესაძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს.
- შედეგად, ორი ნიშანი იდენტური იქნება, თუ სხვაობა ერთი და იმავე ნიშნის შავ-თეთრ და ფერად ვერსიებს შორის შესაძლებელია შესამჩნევი იყოს საშუალო მომხმარებლის მიერ მხოლოდ გვერდიგვერდ შედარების შედეგად.

3.1.1 რა არის „უმნიშვნელო სხვაობა“?

„უმნიშვნელო სხვაობა“ შესაძლებელია განიმარტოს შემდეგნაირად:

უმნიშვნელო სხვაობა ორ ნიშანს შორის წარმოადგენს სხვაობას, რომელსაც სათანადოდ დაკვირ-ვებული მომხმარებელი აღიქვამს მხოლოდ ნიშნების გვერდიგვერდ შედარების საფუძველზე.

3.1.2 პრაქტიკული მაგალითები

პირველ რიგში, ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, მოცემული მაგალითები შესაძლებელია ჩაითვალოს **უმნიშვნელო სხვაობად** და, გამომდინარე აქედან, მომხმარებელმა შესაძლებელია ვერ აღიქვას ფერის ცვლილება:

მეორე მხრივ, შემდეგი მაგალითები შეიძლება განვიხილოთ, როგორც **მნიშვნელოვანი სხვაობა** და ცვლილება ფერში, <u>აქედან გამომდინარე, ისინი აღქმადია მომხმარებლის მიერ:</u>







3.2 პრიორიტეტი

თავდაპირველად, პრიორიტეტის პრინციპები განისაზღვრა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით 1883 წლის 20 მარტს. დოკუმენტი არაერთხელ გადაისინჯა, ხოლო საბოლოო ცვლილება შევიდა 1979 წელს და რატიფიცირებულ იქნა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ.

პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის (A)(2) ქვეპუნქტის თანახმად, *„განაცხადის ნებისმიერი შეტანა, რომელიც სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადის შეტანის ეკვივალენტურია შიდა კანონმდებლობის შესაბამისად . . . აღიარებულია, როგორც <u>პრიორიტეტის უფლების</u> წარმოშობის საფუძველი“.*

პრიორიტეტის უფლება შეზღუდულია დროში. მისი ათვლა იწყება სასაქონლო ნიშანზე პირველი განაცხადის შეტანიდან და მოთხოვნა შესაძლებელია განაცხადის წარდგენიდან 6 თვის განმავლობაში იმ პირობით, თუ განაცხადის პირველად შეტანა მოხდა პარიზის კონვენციის ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყანაში, ან ისეთ ქვეყანაში, რომელსაც ნაცვალგების პრინციპზე დაფუძნებული შეთანხმება გააჩნია.

ზოგჯერ, არსებული სხვაობა ფერში შესაძლოა განპირობებული იყოს ტექნიკური მიზეზებით (პრინტერი, სკანერი და სხვ.), ვინაიდან რამდენიმე წლის წინ შესაძლებელი იყო პრიორიტეტის დოკუმენტის გაცემა მხოლოდ შავ-თეთრში, ფერადი პრინტერების და ფერადი ასლის გადამღები მანქანების არარსებობის გამო. აქედან გამომდინარე, შავ-თეთრი დოკუმენტის მიღება ხდებოდა მიუხედავად იმ ფერისა, რომელშიც სასაქონლო ნიშანი იყო თავდაპირველად რეგისტრირებული. ვინაიდან აღნიშნული საკითხი დღესდღეობით აქტუალური აღარაა, სხვაობა ფერად და შავ-თეთრ ნიშნებს შორის რელევანტობას იძენს.

შეიძლება თუ არა შავ-თეთრში წარდგენილი პრიორიტეტის მქონე ნიშანი შეიცავდეს ფერის მოთხოვნას. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი შესაძლებლობები:

- ფერის მოთხოვნა არ არის წარმოდგენილი;
- მოთხოვნილია კონკრეტული ფერები (შავ-თეთრისა და ნაცრისფერი გრადაციის გარდა);

- ფერის გრაფაში გარკვევით არის მოთხოვნილი მხოლოდ შავ-თეთრი ფერი;
- ფერის გრაფაში გარკვევით არის განსაზღვრული შავი, თეთრი და ნაცრისფერი ფერები (ნიშანი ნაცრისფერ გრადაციაშია);
- ფერის გრაფაში გარკვევით არის განსაზღვრული, რომ ნიშნის დაცვა მოთხოვნილია ყველა ფერისთვის.

აღნიშნული მიზნით, პრიორიტეტთან დაკავშირებით, ნიშნები ერთნაირი უნდა იყოს შესაძლო ყველაზე მკაცრი გაგებით და ნიშნების გარეგნულ მხარეს შორის არსებული რაიმე სხვაობის შემთხვევაში, ექსპერტი წარმოადგენს შეპასუხებას. შესაბამისად, ტექნოლოგიური სხვაობისა თუ ფერის მოთხოვნის მიუხედავად, **სასაქონლო ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულია შავ-თეთრში, არ ითვლება იგივე ფერადი ნიშნის იდენტურად პრიორიტეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სხვაობა ფერებს შორის იმდენად უმნიშვნელოა, რომ შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს საშუალო მომხმარებლის მიერ, ნიშნები ჩაითვლება <u>იდენტურად</u>*** (*საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით, განაცხადის ფორმაში მოთხოვნილია, რომ პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში შავ-თეთრში წარდგენილი ნიშ-ნისთვის, რომლისთვისაც მოთხოვნილია ფერები, გვიანდელი ნიშანი გამოსახული უნდა იყოს შესაბამის ფერებში).

ზემოაღნიშნულის შედეგად, პრიორიტეტებთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოიკვეთოს შემდეგი პრაქტიკული სირთულეები:

- თუ პრიორიტეტის მქონე ნიშნისთვის ფერი არ არის მოთხოვნილი და ნიშანი გამო-სახულია ნაცრისფერ გრადაციაში, ის იქნება იმავე ნიშნის <u>იდენტური</u>, რომლისთვისაც მოთხოვნილია ფერი „ნაცრისფერ გრადაციაში“, თუ ნიშნები არ შეიცავს „მნიშვნელოვან სხვაობას“.
- თუ პრიორიტეტის მქონე ნიშნისთვის ფერი არ არის მოთხოვნილი და ნიშანი გამო-სახულია შავ-თეთრში, ის იქნება იმავე სასაქონლო ნიშნის <u>იდენტური</u>, რომლისთვისაც მოთხოვნილია „შავ-თეთრი“ ფერი, თუ ნიშნები არ შეიცავს „მნიშვნელოვან სხვაობას“.

წინააღმდეგ შემთხვევაში,

- თუ პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანი მოთხოვნილია „შავ-თეთრი“ ფერისთვის, ხოლო განაცხადი წარდგენილია ფერად ნიშანზე (შავი და თეთრი ფერების გარდა სხვა ფერები), ნიშნები არ ითვლება იდენტურად და, შესაბამისად, პრიორიტეტის მოთხოვნა არ იქნება მისაღები, გარდა იმ შემთხვევისა თუ სხვაობა უმნიშვნელოა.

3.3 უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ უნდა დარეგისტრირდეს, ან რეგისტრაციის შემთხვევაში, ამავე კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნას ცნობილი:

(ა) **თუ ის ადრინდელი სასაქონლო ნიშნის იდენტურია,** ხოლო საქონელი და მომსახურება, რომ-ლისთვისაც განცხადებულია ან რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, იდენტურია ადრინდელი სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურებისა.“

ერთი და იმავე ნიშნის შავ-თეთრ და ფერად ვერსიებს შორის სხვაობა ჩვეულებრივ შეიმჩნევა საშუალო მომხმარებლის მიერ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, როცა აღნიშნული სხვაობა არის

იმდენად უმნიშვნელო, რომ შესაძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს საშუალო მომხმარებლის მიერ, ნიშნები ჩაითვლება იდენტურად.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი არაა ნიშნებს შორის ძლიერი მსგავსების პოვნა. თუმცა, სხვაობა ფერში უნდა იყოს უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევი საშუალო მომხმარებლის მიერ ნიშნებისთვის, რომლებიც იდენტურად არის მიჩნეული. ფაქტი, რომ ნიშნები იდენტური არაა, არ ეწინააღმდეგება ნიშნებს შორის შესაძლო მსგავსების არსებობას, რამაც შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს. თუმცა, წინამდებარე პრაქტიკა მსგავსებას არ განიხილავს.

3.4 გამოყენება

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რა მიიჩნევა სასაქონლო ნიშნის გამოყენებად.

კანონის აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს:

სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ნაცვლად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ნიშნის გამოყენებაც.

აღნიშნული მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრირებულისგან განსხვავებული ფორმით გამოყენება ითვლება იმავე სასაქონლო ნიშნის გამოყენებად, თუ ის არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას. აღნიშნული დებულება სასაქონლო ნიშანზე უფლების მქონე პირს საშუალებას აძლევს განახორციელოს ცვლილებები, თუ აღნიშნული ცვლილებები არ ცვლის ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი არაა მკაცრი შესაბამისობის ძიება ნიშნის გამოყენებულ და რეგისტრირებულ ფორმებს შორის.

რაც შეეხება კონკრეტულად ფერთან დაკავშირებულ ცვლილებებს, ძირითადი კითხვა, რაც უნდა დაისვას არის: ცვლის თუ არა ნიშნის ფაქტობრივი გამოყენება მის განმასხვავებელუნარიანობას. მაგალითად, შავ-თეთრში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ფერადი ვერსიის გამოყენება (და პირიქით) ნიშნავს თუ არა რეგისტრირებული ფორმის ცვლილებას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით.

გამოყენების თვალსაზრისით მხოლოდ ფერის ცვლილება **არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას,** თუ:

- სიტყვიერი/გამოსახულებითი ელემენტები ემთხვევა და წარმოადგენს ძირითად განმასხვავებელ ელემენტებს.
- *დაცულია ტონალობის კონტრასტულობა.*
- ფერი ან ფერთა კომბინაცია თავისთავად არ არის განმასხვავებელუნარიანი.
- ფერი არ არის ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი.

ნიშნის განსხვავებული ფორმით გამოყენება მისაღებია, თუ სიტყვიერი/გამოსახულებითი ელემენტები იგივე რჩება, სიტყვიერი/გამოსახულებითი ელემენტები ემთხვევა, წარმოადგენს ძირითად განმასხვავებელ ელემენტებს და დაცულია ტონალობის კონტრასტულობა.

3.5 ნაცრისფერი გრადაცია

რთულია ერთმანეთისგან განასხვავო ნაცრისფერი, რომელიც შეიცავს შავ და თეთრ პიქსელებს და ნაცრისფერი, როგორც ფერი. აღნიშნული დამოკიდებულია ნაცრისფრის ტიპის დაცვის ფორმაზე.

ა) პრიორიტეტი

სასაქონლო ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულია ნაცრისფერ გრადაციაში არ ითვლება იმავე ფერადი ნიშნის იდენტურად პრიორიტეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სასაქონლო ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულია შავ-თეთრში, უნდა ჩაითვალოს ნაცრისფერ გრადაციაში მოცემული იმავე ნიშნის იდენტურად, თუ ტონალობის კონტრასტს შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ შესაძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს საშუალო მომხმარებლის მიერ.

ბ) უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

ერთი და იმავე ნიშნის ნაცრისფერი გრადაციის და ფერად ვერსიებს შორის სხვაობა ჩვეულებრივ შეიმჩნევა საშუალო მომხმარებლის მიერ.

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, როცა აღნიშნული სხვაობა არის იმდენად უმნიშვნელო, რომ შესაძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს საშუალო მომხმარებლის მიერ, ნიშნები ჩაითვლება იდენტურად.

გ) გამოყენება

გამოყენების თვალსაზრისით, მხოლოდ ფერის ცვლილება **არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვა-ვებელუნარიანობას** , თუ:

- სიტყვიერი/გამოსახულებითი ელემენტები ემთხვევა და წარმოადგენს ძირითად განმასხვა-ვებელ ელემენტებს.
- *დაცულია ტონალობის კონტრასტულობა.*
- ფერი ან ფერთა კომბინაცია თავისთავად არ არის განმასხვავებელუნარიანი.
- ფერი არ არის ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი.

პრაქტიკის დოკუმენტი.

2020 წ.